



კავკასიის უნივერსიტეტის
სტრატეგიული განვითარების და
სამოქმედო გეგმა

2020-21- 2026-27 აკადემიური წლები



თბილისი, 2019 წელი

სარჩევი

- 3 შესავალი
- 5 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- 9 SWOT ანალიზი
- 14 კავკასიის უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ღირებულებები
- 16 კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 28 კავკასიის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა
- 36 ბიზნესის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 47 სამართლის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 59 მედიის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 70 ტექნოლოგიების სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 80 სახელმწიფო მართვის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 91 ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 102 ტურიზმის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 111 მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 119 ეკონომიკის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 128 სადოქტორო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 136 სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები



შესავალი

კავკასიის უნივერსიტეტის ისტორია იწყება 1998 წლიდან, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაფინანსებით, ევრაზიის ფონდისა (Eurasia Foundation) და აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს (USIA) გრანტის საშუალებით ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა კავკასიის ბიზნესის სკოლა (CSB) და დაინერგა პირველი დასავლური ბიზნეს-განათლება საქართველოში. საქმიანობის დაწყებიდან მალევე, 1999 წელს, ამოქმედდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ამას მოჰყვა კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაზაზე კერძო უმაღლესი დაწესებულების-კავკასიის უნივერსიტეტის - ჩამოყალიბება 2004 წელს. უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დღესდღეობით კავკასიის უნივერსიტეტი აერთიანებს 11 სკოლას: ბიზნესის სკოლა (CSB), სამართლის სკოლა (CSL), მედიის სკოლა (CSM), ტექნოლოგიების სკოლა (CST), სახელმწიფო მართვის სკოლა (CSG), ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (CSH), ტურიზმის სკოლა (CTS), მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა (CMS), ეკონომიკის სკოლა (CSE), სადოქტორო სკოლა (CDS) და კავკასიის განათლების სკოლა (CES).

კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, რომელსაც უზრუნველყოფს დიდი აკადემიური კვალიფიკაციის, პრაქტიკული გამოცდილების მქონე ლექტორებისა და ეფექტური სასწავლო გეგმის კომბინაცია. სასწავლო პროგრამები შექმნილია მოწვეული უცხოელი პროფესორების მხარდაჭერითა და ჩართულობით. უნივერსიტეტში ასწავლიან პროფესიონალი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებას სხვადასხვა სფეროში. კავკასიის უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ევროპის, ამერიკისა და აზიის უნივერსიტეტებთან. შესაბამისად, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევათ, გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება.

კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს დასაქმების პროცენტი 95%-ს აჭარბებს. ისინი დასაქმებულები არიან სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო კომპანიებში როგორც საქართველოში, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი მიმდინარეობდა 2018-2019 წლების განმავლობაში დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით. პროცესს სათავეში ედგა კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ინიცირება და შედეგების განხილვა ხდებოდა სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციათაშორის სამუშაო ჯგუფისა და მმართველი საბჭოს მიერ.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტურობა განპირობებულია დიაგრამა I-ზე წარმოდგენილი მეთოდოლოგიით.

I. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია 2020-2026 წლებისთვის



დიაგრამა 1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განახლების მიზნით კავკასიის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციათაშორისი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

1. ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული დაგეგმვის დარგში
2. ვიცე-პრეზიდენტი მონიტორინგის და ადმინისტრაციულ დარგში
3. ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში
4. ვიცე-პრეზიდენტი მატერიალური რესურსების დარგში
5. ფინანსური და ბიუჯეტირების დეპარტამენტის დირექტორი
6. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
7. პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი
8. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი
9. მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორი
10. საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი
11. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამსახურის უფროსი

2020-2026 წლის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, სტრატეგიული დაგეგმარების ფუნქციათაშორისი სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით, რეგულარულად მართავდა შეხვედრებს. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით ტარდებოდა ჩადრმავებული ინტერვიუები, გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან (სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, მმართველ რგოლთან), სადაც განიხილებოდა ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ კავკასიის უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან (ადმინისტრაცია, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი) ჩატარდა სამუშაო

შეხვედრები, შეავსეს კითხვარები, რის საფუძველზეც მოხდა კავკასიის უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის შესახებ შეხედულებების გენერირება და უკვე შემდგომ მმართველი საბჭოს მიერ მოდიფიცირებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცება.

სპეციალურად შედგენილი კითხვარების შედეგების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა გამოავლინა კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები, უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები. სამუშაო ჯგუფმა SWOT ანალიზის შედეგად დაადგინა „შესაძლებლობათა ფანჯარა“ და განსაზღვრა გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტები.


სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა თითოეული სკოლის დეკანთან და ადმინისტრაციასთან გამართული ინდივიდუალური და საერთო შეხვედრების გზითა და გამოკითხვის მეთოდების გამოყენებით უზრუნველყო კავკასიის უნივერსიტეტის ყველა სკოლის სტრატეგიული ამოცანების, საზომი ინდიკატორებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ შეხედულებების გენერირება. მიღებული ინფორმაცია სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა გადაიტანა სტრატეგიულ რუკასა და დაბალანსებული შედეგების ცხრილში. შეიქმნა კავკასიის უნივერსიტეტისა და თითოეული სკოლის სტრატეგიული რუკები, რომლებიც გვიჩვენებს სტრატეგიული ამოცანებსა და მათ შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. დაბალანსებული შედეგების ცხრილი არის სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის მეთოდი, რომელიც გვიჩვენებს ორგანიზაციის მთლიან სურათს მისი საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი განზომილებების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ფინანსური მდგრადობა, მომხმარებელზე ორიენტირებულობა, შიდა პროცესების შექმნა-დახვეწა, თანამშრომელთა პროფესიული ზრდა და რესურსების ოპტიმიზაცია. სწორედ, ამ მეთოდებზე დაფუძნებით შეიქმნა კავკასიის უნივერსიტეტისა და თითოეული სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. დეპარტამენტმა სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსია გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, შეხვედრების გზით მათგან მიიღო ინფორმაციული უკუკავშირი. საბოლოო სამუშაო

ვერსიის განხილვა მოხდა სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციათაშორის სამუშაო ჯგუფში, სადაც მან მიიღო საბოლოო სახე და დასამტკიცებლად წარედგინა მმართველ საბჭოს.

სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე სტრატეგიულმა განვითარების დეპარტამენტმა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად შეიმუშავა 3-წლიანი სამოქმედო გეგმა. ამის შემდეგ სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ყოველწლიური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, წელიწადში ორჯერ სამოქმედო გეგმას გადახედავს და, საჭიროებისამებრ, შესაბამის ერთეულებთან ერთად მათში ცვლილებებს შეიტანს. ამასთანავე, უზრუნველყოფს პერიოდულად სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების პროგრესის შეფასებას, შესაბამისი ანგარიშის მომზადებასა და, გამონაკლის შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების პროექტის მომზადებას.

SWOT ანალიზი

სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბების მიზნით კავკასიის უნივერსიტეტში სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა გამოკითხვა, რომლის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდა უნივერსიტეტის SWOT ანალიზი.



სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა სპეციალური კითხვარის პირველადი ვარიანტი შექმნა, რომელიც განიხილა სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციათაშორისმა სამუშაო გუნდმა. მათი რეკომენდაციების მიხედვით შეიქმნა მოდიფიცირებული კითხვარი და საპილოტე გამოკითხვის რეჟიმში დაიგზავნა ათამდე რესპოდენტთან, რათა შემოწმებული ყოფილიყო კითხვარის შევსებასთან დაკავშირებული საკითხები. მიღებული რჩევების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა კითხვარების საბოლოო ვერსიები.


სამიზნე ჯგუფიდან გამომდინარე შეიქმნა 8 სახის კითხვარი. კითხვარის რესპოდენტები იყვნენ კავკასიის უნივერსიტეტის მენეჯმენტის უმაღლესი რგოლი, კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების დეკანები, პროგრამების დირექტორები, პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული თანამშრომლები, სტუდენტები და დამსაქმებლები.

კითხვარი აერთიანებდა 5 ტიპის შეკითხვას. პირველ სამი კითხვით გამოვლინდა კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები.

პირველ კითხვაში ჩამოთვლილი იყო კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ფაქტორები და რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ თითოეულის მნიშვნელოვნება შესაბამისი ქულით (1-დან 9 ქულის ჩათვლით). ამ შეკითხვის შედეგების ანალიზით გამოიკვეთა კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები. მეორე კითხვით რესპოდენტები აფასებდნენ, სუსტ თუ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა თითოეული ფაქტორი კავკასიის უნივერსიტეტისათვის და თავიანთი აღქმის მიხედვით წერდნენ ქულებს (1-დან 9-ის ჩათვლით). მესამე კითხვაში თავად შეეძლოთ დაესახელებინათ დამატებითი ფაქტორი, რომელიც ჩამონათვალში არ შეხვდათ და შეეფასებინათ ანალოგიურად.

მიღებული შედეგები მიხედვით სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა ააგო დიაგრამა, რომლის მიხედვითაც ფაქტორები განაწილდა 4 ზონაში (დიაგრამა 3):

1. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის სუსტ მხარეს წარმოადგენს
2. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს
3. მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტისთვის ძლიერ მხარეს წარმოადგენს
4. მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის სუსტ მხარეს წარმოადგენს



დიაგრამა 2. შიდა ფაქტორთა განაწილება

ძლიერი მხარე:

- უნივერსიტეტის ცნობადობა, რეპუტაცია/იმიჯი
- სწავლების პროცესი
- უნივერსიტეტის აკად. პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება
- ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტებთან
- ადმინისტრაციულ თანამშრომელთა პროფესიონალიზმი
- საერთაშორისო აღიარება (აკრედიტაცია, ასოციაციის წევრობა და ა.შ.) და პარტნიორობა
- უნივერსიტეტის გაცვლითი და ორმაგი პროგრამები
- ფინანსური მხარდაჭერა (სასწავლო პროგრამების, კვლევითი პროექტების და ა. შ.)
- კურსდამთავრებულთა დასაქმება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე
- საკლასო აუდიტორიების აღჭურვილობა

- სოციალური სივრცეები
- IT ინფრასტრუქტურა
- სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში თანამშრომელთა და სტუდენტთა დიდი ჩართულობა

სუსტი მხარე:

- საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის არასაკმარისი ინტენსიობა (ფუნდამენტური კვლევა, გამოყენებითი კვლევა)
- საერთაშორისო კვლევითი პროექტების მცირე რაოდენობა
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების ანაზღაურება
- ბიბლიოთეკის საკითხავი სივრცის სიმცირე

კითხვარის მეოთხე-მეხუთე ღია კითხვა ეხებოდა გარე ფაქტორებს. რესპოდენტებს უნდა ჩამოეთვალათ გარემოში არსებული ფაქტორები, რომლებიც ხელსაყრელ პირობას (შესაძლებლობას) შექმნის კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის მომავალი 3 წლის განმავლობაში. ხოლო მეხუთე კითხვა ითვალისწინებდა გარემოში არსებული ფაქტორების დასახელებას, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის ხელის შემშლელი იქნება ან/და წარმოადგენს საფრთხეს მომავალი 3 წლის განმავლობაში.

შესაძლებლობები:

- ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი პროექტების გაზრდილი რაოდენობა
- უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლით დაინტერესება
- პროფესიული განათლების სექტორის პოპულარიზაცია

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განათლების ახალი, ინოვაციური გზებით მიწოდება
- განათლების რეფორმა, კრედიტების შემცირება საფეხურებზე

საფრთხეები:

- ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო
- კონკურენციის ზრდა - კონკურენტი უნივერსიტეტების/აკადემიური პროგრამების რაოდენობის ზრდა
- უცხოელი სტუდენტების ჩარიცხავსთან დაკავშირებით შექმნილი ბარიერები
- საქართველოში მკლევარი აკადემიური პერსონალის სიმცირე
- დასაქმების ბაზრის გაჯერება - სამუშაო ადგილების ნაკლებობა, დასაქმების ხარისხის ვარდნა

მიღებული შედეგების ანალიზის მეშვეობით და მათზე დაფუძნებით შემუშავდა კავკასიის უნივერსიტეტისა სტრატეგიული ამოცანები.

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ღირებულებები

ხედვა

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც მას საერთაშორისო აღიარებასა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის სახელს მოუპოვებს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

მისია

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტის დევიზი

"Studium Pretium Libertatis" - „ცოდნა თავისუფლების საწინდარია“.

ღირებულებები

კავკასიის უნივერსიტეტი და მისი აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

ნოვატორული სულისკვეთება - ჩვენ გვსურს, მუდმივად ვიყოთ ნოვატორები ცოდნის შექმნასა და გადაცემაში ისე, რომ ვპასუხობდეთ საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

მრავალფეროვნება - ჩვენ გვსურს, ადგილობრივი თუ რეგიონული საზოგადოების წევრებს შევუქმნათ შესაძლებლობა, გაუგონ და პატივი სცენ მათ, ვისი თვალსაზრისი, ღირებულებები, წარმოდგენები, ტრადიციები და მსოფლმხედველობა განსხვავებულია. მხოლოდ განსხვავებული გამოცდილების, ისტორიის და თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი თანამედროვე სამყაროს შესახებ თვალსაწიერის გაფართოება.

აკადემიური თავისუფლება - ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალი იქნება ცოდნის შექმნასა და გადაცემაში.

ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე - ჩვენ პარტნიორობა გვსურს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებასთან იმისთვის, რომ შევქმნათ და გავავრცელოთ რელევანტური ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას და გაზრდის კონკურენტუნარიანობას.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კავკასიის უნივერსიტეტის წესდების და შინაგანაწესის საფუძველზე. უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამების შესაბამისად კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხებს.

კავკასიის უნივერსიტეტის მიზნად ისახავს, მოამზადოს დემოკრატიული ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების მიმდევარი კვალიფიციური კადრები და ამით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში.

კავკასიის უნივერსიტეტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. მიზნის მისაღწევად ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდების, ანახლებს სასწავლო პროგრამებსა და მასალებს, ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აძლიერებს აკადემიურ-სამეცნიერო რესურსს და მუდმივად ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების შესაბამისად და პერიოდული თვითშეფასებების შედეგებზე დაყრდნობით კავკასიის უნივერსიტეტი ახდენს სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლებას, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს კავკასიის უნივერსიტეტისა და მისი სკოლების 2020-2021-დან 2026-2027 აკადემიური წლების პერიოდს.

კავკასიის უნივერსიტეტში განისაზღვრა სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, რომლის მიხედვითაც იმოქმედებს უნივერსიტეტი მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. ესენია:


1. ინტერნაციონალიზაცია
2. სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა
3. სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

ამ მიმართულებებთან თანხვედრაში საუნივერსიტეტო დონეზე არსებული სტრატეგიული ამოცანებია:

- სტუდენტთა კონტიგენტის ზრდა
 - მაღალი მოსწრებისა და მოტივაციის მქონე სტუდენტების მოზიდვა
 - უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა
 - სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა
 - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაღალი მაჩვენებლების მიღწევა და შენარჩუნება
 - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება
 - ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის გაზრდა
-
- აკადემიური პროგრამების მუდმივი განვითარება-გაუმჯობესება
 - პროგრამული (სწავლა/სწავლების) ინტერნაციონალიზაცია
 - კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა
 - კვლევის ინტერნაციონალიზაცია

- სტუდენტებისთვის დამხმარე სერვისების ეფექტურობის გაზრდა
- უნივერსიტეტის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო დამხმარე სერვისების ეფექტურობის გაზრდა
- საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის ხელშეწყობა
- სასწავლო პროცესისთვისა და სტუდენტური აქტივობებისთვის სივრცისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა-გაუმჯობესება
- უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესის გაუმჯობესებისთვის
- ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული რუკა



სტუდენტთა კონტიგენტის ზრდა



ინდიკატორი: სტუდენტთა რაოდენობის დინამიკის ზრდის მაჩვენებელი

მაღალი მოსწრებისა და მოტივაციის მქონე სტუდენტების მოზიდვა



ინდიკატორი: გრანტის მფლობელთა პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი: შედეგების მიხედვით ტოპ-500-ში მყოფ აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებიც ჩაირიცხნენ კავკასიის უნივერსიტეტში



ინდიკატორი: მაგისტრატურის სტუდენტთა საერთო სამაგისტრო გამოცდების საშუალო ქულა

უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი: უცხოელ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი მთლიან კონტიგენტთან მიმართებაში

სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა



ინდიკატორი: სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაღალი მაჩვენებლების მიღწევა და შენარჩუნება



ინდიკატორი: სტუდენტთა GPA-ს საშუალო მაჩვენებელი



ინდიკატორი: კურსდამთავრებულთა პროცენტული რაოდენობა ჩაბარებულ კონტიგენტთან მიმართებაში

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება



ინდიკატორი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ადგილობრივ დონეზე



ინდიკატორი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საერთაშორისო დონეზე



ინდიკატორი: საკუთარი პროფესიით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა

ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის გაზრდა



ინდიკატორი: ცნობადობის კოეფიციენტი აბიტურიენტთა შორის საქართველოში



ინდიკატორი: ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ცნობადობა საერთაშორისო დონეზე



ინდიკატორი: ედუნევერსალის შეფასების კრიტერიუმი- სამი პალმის შენარჩუნება

აკადემიური პროგრამების მუდმივი განვითარება



ინდიკატორი: გადახედილი და განახლებული პროგრამების რაოდენობა



ინდიკატორი: პროგრამების რეაკრედიტაციის სტატუსი



ინდიკატორი: ახალი პროგრამების რაოდენობა



ინდიკატორი: პროგრამებით კმაყოფილების ზრდის მაჩვენებელი

პროგრამული (სწავლა/სწავლების) ინტერნაციონალიზაცია



ინდიკატორი: ორმაგი პროგრამების რიცხვი



ინდიკატორი: ინგლისურ ენაზე არსებული საგნებისა და მოდულების რიცხვი



ინდიკატორი: ინგლისურენოვანი პროგრამების რიცხვი

კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა



ინდიკატორი: საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებული კვლევითი პროექტების რაოდენობა



ინდიკატორი: გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა ადგილობრივ/უცხოურ რეფერირებად-ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში



ინდიკატორი: საერთაშორისო-სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი (ზეპირი მოხსენება, საპოსტერო პრეზენტაცია)



ინდიკატორი: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებათა რაოდენობა

კვლევის ინტერნაციონალიზაცია



ინდიკატორი: საერთაშორისო კვლევითი გრანტების რიცხვი



ინდიკატორი: ერთობლივი (Joint) კვლევითი პროექტების რიცხვი



ინდიკატორი: გაცვლითი პროგრამების რიცხვი მკვლევარებისა და PhD სტუდენტებისათვის



ინდიკატორი: საერთაშორისო კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის რიცხვი

სტუდენტებისთვის დამხმარე სერვისების ეფექტურობის გაზრდა



ინდიკატორი: სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი დამხმარე სერვისების ეფექტურობასთან დაკავშირებით

უნივერსიტეტის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო დამხმარე სერვისების ეფექტურობის გაზრდა



ინდიკატორი: კმაყოფილების მაჩვენებელი დამხმარე სერვისების ეფექტურობასთან დაკავშირებით

საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობების ხელშეწყობა



ინდიკატორი: საჯარო ლექცია-სემინარების რაოდენობა



ინდიკატორი: სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მქონე კვლევითი პროექტებისა და გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა



ინდიკატორი: სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობების რიცხვი (მაგ. გარემოსდაცვითი ღონისძიებები)

სასწავლო პროცესისთვისა და სტუდენტური აქტივობებისთვის სივრცისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა-გაუმჯობესება



ინდიკატორი: თბილისი ახალი კამპუსის შექმნის სტატუსი (შეიქმნა/არ შეიქმნა)



ინდიკატორი: ბათუმში ახალი კამპუსის შექმნის სტატუსი



ინდიკატორი: ინფრასტრუქტურით კმაყოფილების მაჩვენებელი



ინდიკატორი: IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მაჩვენებელი (გაუმჯობესდა/არ გაუმჯობესდა)

უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება



ინდიკატორი: უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი პერსონალის რაოდენობის დინამიკა



ინდიკატორი: უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი აკადემიური პერსონალის რაოდენობის დინამიკა

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა
სწავლა/სწავლების პროცესისა და კვლევითი საქმიანობის
გაუმჯობესებისთვის



ინდიკატორი: აკადემიური პერსონალის განმავითარებელ ღონისძიებათა რაოდენობა სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის



ინდიკატორი: განმავითარებელ ღონისძიებებში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა

ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე
ზრუნვა



ინდიკატორი: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმავითარებელი ღონისძიებების რაოდენობა



ინდიკატორი: განმავითარებელ ღონისძიებებში ჩართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა

კავკასიის უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმა

დასახული სტრატეგიული ამოცანების მიღწევას კავკასიის უნივერსიტეტი შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად უზრუნველყოფს შემდეგი 3-წლიანი სამოქმედო გეგმით.

მომხმარებლებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

სტუდენტთა კონტიგენტის ზრდა

აქტივობები:

- წამახალისებელი კამპანიის დაგეგმვა, რომელიც ფინანსურ შეღავათს სთავაზობს აბიტურიენტებს
- მარკეტინგულ-შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება საჯარო და საშუალო სკოლების მოსწავლეებისათვის
- საინფორმაციო-მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება კერძო და საჯარო კომპანიებში
- კავკასიის უნივერსიტეტში დაინტერესებული პირებისთვის პროფესიული და სოციალური აქტივობები დაგეგმვა-განხორციელება
- მარკეტინგული კამპანია სოციალურ და ტრადიციულ მედიაში
- პროფესიულ გადაცემებში და გამოცემებში კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობა
- უცხოელი სტუდენტების მოსაზიდი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება

უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა

აქტივობები:

- მიზნობრივ ქვეყნებზე მომუშავე აგენტებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და წამახალისებელი სისტემის დანერგვა
- მიზნობრივ ქვეყნების განათლების სამინისტროებისა თუ მარეგულირებელი ორგანიზაციების ლეგალური მოთხოვნების შესრულება:
 - ჩვენი უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაცია შესაბამის ქვეყნებში
 - მიზნობრივ ქვეყნებში აღიარებულ აკრედიტებულ უნივერსიტეტთა სიებში მოხვედრა
- მიზნობრივ ქვეყნებში საქართველოს საელჩოებთან მჭიდრო კონტაქტი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება
- მიზნობრივ ქვეყნებში სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება (მაგალითად საგანმანათლებლო გამოფენები)
- საერთაშორისო აკრედიტაციის აღება (მაგ. AACSB)

- საერთაშორისო სარეიტინგო სისტემებში მოხვედრა და წლიდან-წლამდე პროგრესი

მაღალი მოსწრების და მოტივაციის მქონე სტუდენტების მოზიდვა

აქტივობები:

- ფინანსური საშეღავათო პროგრამა ერთიან ეროვნულ გამოცდაში და საერთო სამაგისტრო გამოცდაში მაღალი შედეგების მქონე პირებისთვის
- სტიპენდიის პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტში სწავლების დროს მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის
- სტაჟირებისა და დასაქმებაში ხელის შემწყობი ღონისძიებები
- კერძო და საჯარო სექტორთან ერთობლივი პროექტები (მოწვეული ლექტორების პროექტი, კონკურსები, CSR-ის პროექტები და ა. შ.)

არსებული სტუდენტების კმაყოფილების დონის უზრუნველყოფა

აქტივობები:

- სტუდენტების კმაყოფილების კვლევის რეგულარულად ჩატარება
- ე. წ. „საჩივრების წიგნის“ პროექტის ამუშავება
- „მისტიური მომხმარებლის“ კვლევის რეგულარული ჩატარება
- შედეგების ანალიზისა და შესაბამისი რეაგირების პროცესის სრულყოფა
- კმაყოფილების ნიშნულების ყოველწლიური მონიტორინგი

სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრების დონის ხელისშეწყობა

აქტივობები:

- სტუდენტების აკადემიური პროგრესის მონიტორინგისა და კონსულტირების სისტემის დახვეწა
- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის აკადემიური, ფინანსური და არაფინანსური პროგრამების შემუშავება-დახვეწა
- პოტენციურ დამსაქმებელთან მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების სარეკომენდაციო სისტემის დახვეწა
- ე. წ. „ორდენების სისტემის“ დანერგვა, რომელიც გამოარჩევს სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობას
- მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალის შენარჩუნება და მოზიდვა
- უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა
- საქართველოში პროფესიული კუთხით წარმატებული პირების მიერ ე. წ. Guest Lecturing-ის, მოწვეული სტუმრის და სხვა პროექტებში ჩართვა

ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ცნობადობისა და აღიარების ზრდა აქტივობები:

- მარკეტინგული პროგრამების შემუშავება ლოკალურ და საერთაშორისო ბაზარზე
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ცნობადობის გაზრდის პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება
- ადგილობრივი ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის პროცესის წარმართვა
- საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის წარმართვა და მიღება
- საერთაშორისო სარეიტინგო სისტემებში მოხვედრა და წლიდან-წლამდე პროგრესი

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება აქტივობები:

- კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან ორმხრივი მემორანდუმების გაფორმება
- სისტემატიურად პოტენციურ დამსაქმებელთან სხვადასხვა პროექტების ინიცირება-შემუშავება
- დამსაქმებელის ჩართვა ახალი აკადემიური პროგრამების შექმნისა და არსებულის მოდიფიცირებისას
- კურსდამთავრებულების ასოციაციის ან/და კლუბის შექმნაში ხელის შეწყობა
- კურსდამთავრებულების დასაქმების სისტემატური მონიტორინგი

შიდა პროცესებთან დაკავშირებული სტრატეგიული ამოცანები და აქტივობები

აკადემიური პროგრამების მუდმივი განვითარება-გაუმჯობესება

აქტივობები:

- ბაზრის მოთხოვნებისა და დასაქმების სფეროების სისტემატიური კვლევის ჩატარება
- კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კვლევის ჩატარება
- ბაზარზე მოთხოვნადი ახალი აკადემიური პროგრამების შექმნა და აკრედიტაციის პროცესის გავლა
- დამსაქმებლის ჩართვა ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში არსებული აკადემიური პროგრამების დახვეწის პროცესში

- გარე ექსპერტების მიერ აკადემიური პროგრამების შეფასების სისტემის შემუშავება-დანერგვა

პროგრამული (სწავლა-სწავლების) ინტერნაციონალიზაცია

აქტივობები:

- ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ინგლისურ ენაზე შეთავაზებული პროგრამების რაოდენობის გაზრდა
- პროგრამებში ინგლისურ ენაზე შეთავაზებული კურსების რაოდენობის (კომპონენტებს) გაზრდა
- სასწავლო პროცესში უცხოურ ლიტერატურას, საერთაშორისო ქეისებსა და მეთოდოლოგიის გამოყენება
- სასწავლო კურსების მუდმივ განახლება და სწავლების/სწავლის შედეგების გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე მორგების უზრუნველყოფა
- სტუდენტების უზრუნველყოფა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნეს სექტორთან ჩართულობას სტაჟირებების, კვლევებისა და სხვა შეთავაზებებით
- პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციას დაგეგმვა/განხორციელება
- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ერთობლივ პროგრამების განხორციელება
- საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით და მათი გამოცდილების გაზიარების საფუძველზე განახლება ან კონკრეტულ მოდულების განვითარება
- დონორების დაფინანსების მოპოვება ცალკეული პროგრამებისა თუ კურსების განვითარების მიზნით
- საერთაშორისო მომხსენებლების მოწვევა მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ჩასატარებლად შესაბამისი პროგრამის ფარგლებში

კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა

აქტივობები:

- აკადემიური პერსონალისთვის მოტივაციის სისტემის შემუშავება კვლევით აქტივობებში ჩართულობის გასაზრდელად
- კვლევების შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების გაზრდა
- კვლევების დასაფინანსებელ გრანტებზე მუშაობა და აკადემიური პერსონალის ჩართვა
- აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარ-ჩვევების განამავითარებელი ღონისძიებების დანერგვა

კვლევის ინტერნაციონალიზაცია

აქტივობები:

- საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება კვლევის მიმართულებით
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების ხელის შეწყობა
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელის შეწყობა
- საერთაშორისო კვლევით პროექტების მოზიდვა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართვა
- სკოლებში კვლევითი ცენტრების დაფუძნება
- კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების დაფინანსების მოპოვება ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად
- უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა
- მასპინძლობა და მონაწილეობის მიღება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში, სიმპოზიუმებში და სხვა ღონისძიებებში
- სტატიების გამოქვეყნება ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში.
- აკადემიური პერსონალისა და მეცნიერების კონფერენციებისა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის დაფინანსება შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის შესაბამისად
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობა
- ევროპული კვლევითი ცენტრის საფრანგეთში რენის ბიზნესის სკოლის ბაზაზე
- ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემუშავებაზე და სადისერტაციო ნაშრომების თანახელმძღვანელობაზე უცხოელ პარტნიორებთან მუშაობა
- უნივერსიტეტის, ბიზნეს სექტორისა და მეცნიერების თანამშრომლობის ხელშეწყობა, აგრეთვე, კვლევაზე დაფუძნებული ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებისა და კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა

დამხმარე სერვისების ეფექტურობის გაზრდა

აქტივობები:

- სტუდენტების დასაქმების ხელშემწყობი უნარებისა და ცოდნის განმავითარებელი პროექტების განხორციელება
- სტუდენტების დამსაქმებელთან უშუალო კავშირის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება
- სტუდენტების კულტურულ, ინტელექტუალურ და შემეცნებით განვითარება სხვადასხვა სტუდენტური კლუბების მეშვეობით
- სტუდენტებისთვის განწყობის ასამაღლებელი პროექტების განხორციელება

- სტუდენტის კარიერის განმავითარებელი პროექტები
- სტუდენტების უსაფრთხოებისა და შრომის სტანდარტების კონტროლი
- უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის საჭირო მომსახურების ეფექტურობის გაზრდა

საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის ხელშეწყობა

აქტივობები:

- CSR პროგრამების დაგეგმვა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მათში ჩართვა
- აკადემიურ პროგრამებში ეთიკური ნორმების, მოქალაქეობრივი სტანდარტებისა და დემოკრატიული ფასეულობების სწავლება
- სოციალური მეწარმეობის პროექტებში მონაწილეობის მიღება
- სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების განათლებისათვის სპეციალური პროგრამების შემუშავება
- აკადემიური პერსონალი და სტუდენტები სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში ჩართულობის გაზრდა
- ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სოციალური პროექტების შემუშავება

რესურსებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

სასწავლო პროცესისთვისა და სტუდენტური აქტივობებისთვის სივრცისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა-გაუმჯობესება

აქტივობები:

- ახალი კამპუსის მშენებლობა ბათუმში
- ახალი კამპუსის მშენებლობა თბილისში
- არსებული კამპუსის ინფრასტრუქტურული იერსახის შენარჩუნებისთვის შესაბამისი გეგმის შემუშავება
- საჭიროების გამოვლენა IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით და შესაბამისი ქმედებების (კომპიუტერების შესყიდვა, ქსელის გამართვა და ა. შ) დაგეგმვა
- ბიბლიოთეკის ცალკე შენობის მშენებლობა უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე

უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება

აქტივობები:

- აკადემიური პერსონალის სახელფასო პოლიტიკის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების გეგმის შემუშავება
- აკადემიური პერსონალის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება-დანერგვა
- აკადემიური პერსონალის დაგეგმვის, არჩევის, დანიშვნის პროცედურების მაღალ დონეზე შენარჩუნება
- ახალ საკონტრაქტე სქემაზე გადასვა
- პერსონალის კმაყოფილების შეფასება და რეაგირების შესაბამისი სქემის შემუშავება

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა
სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებისთვის
აქტივობები:

- აკადემიური პერსონალის პროფესიულ-განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა
- განმავითარებელი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასების სქემის შემუშავება
- პროფესიულ ტრენინგთა დაგეგმვა
- აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა
- სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების ანალიზი
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასება და რეაგირების შესაბამისი სქემის შემუშავება
- სწავლა/სწავლების პროცესში განსაკუთრებით მოტივირებული აკადემიური პერსონალის წახალისების სქემის შემუშავება/დანერგვა
- კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის მაღალი ჩართულობისთვის სამოტივაციო სქემის შემუშავება

ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა
აქტივობები:

- ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ-განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა
- განმავითარებელი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება
- ადმინისტრაციული პერსონალისთვის პროფესიულ ტრენინგთა დაგეგმვა
- ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა
- სტუდენტთა მიერ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ანალიზი

- ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შეფასება და რეაგირების შესაბამისი სქემის შემუშავება
- ადმინისტრაციული პერსონალის წამახალისებელი და სამოტივაციო სქემის შემუშავება

კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

მისია

კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაა ახალგაზრდა თაობის თანამედროვე თეორიული ცოდნით აღჭურვა, მათში პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების სიღრმისეული გაცნობიერების ხელშეწყობა.

ღირებულებები

კავკასიის ბიზნესის სკოლის აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

ნოვატორული სულისკვეთება - ჩვენ გვსურს, მუდმივად ვიყოთ ნოვატორები ცოდნის შექმნასა და გადაცემაში ისე, რომ ვპასუხობდეთ ბიზნეს გარემოსა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

მრავალფეროვნება - ჩვენ გვსურს, ადგილობრივი თუ რეგიონული საზოგადოების წევრებს შევუქმნათ შესაძლებლობა გაუგონ და პატივი სცენ მათ, ვისი თვალსაზრისი, ღირებულებები, წარმოდგენები, ტრადიციები და მსოფლმხედველობა განსხვავებულია. მხოლოდ განსხვავებული გამოცდილების, ისტორიისა და თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი თანამედროვე სამყაროს შესახებ თვალსაწიერის გაფართოება.

აკადემიური თავისუფლება - ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალი იქნება ცოდნის შექმნასა და გადაცემაში.

ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესის საზოგადოებასთან სიახლოვე - ჩვენ პარტნიორობა გვსურს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბიზნესის

საზოგადოებასთან, იმისთვის რომ, შევქმნათ და გავავრცელოთ რელევანტური ცოდნა ბიზნესის მართვის სხვადასხვა მიმართულებით.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიზნეს-სექტორის განვითარებას და გაზრდის კონკურენტუნარიანობას.

ბიზნესის სკოლის სტრატეგიული რუკა

სტრატეგიული მიმართულებები

სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა

ინტერნაციონალიზაცია

მომხმარებელთა ნიშნული

მაღალი შედეგების მქონე აბიტურიენტების მიღების ხელშეწყობა

არსებული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ზრდის ხელშეწყობა

არსებული სტუდენტების კმაყოფილების დონის ზრდის ხელშეწყობა

მომხმარებლების შენარჩუნების ხელშეწყობა

სტუდენტების სამეცნიერო და კვლევით კომპონენტებში ჩართულობის ხელშეწყობა

უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა

შიდა პროცესების ნიშნული

სკოლის სტრუქტურის ცვლილება და მიმართულების ხელმძღვანელების სქემაზე გადასვლა

კვლევის განვითარების ხელშეწყობა

ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავება

ინგლისურენოვანი პროგრამების დანერგვა

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

რესურსების ნიშნული (სწავლისა და ზრდის ნიშნული)

მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა

წიგნადი და ელექტრონული რესურსების გამრავალფეროვნება

ამოცანა 1: მაღალი შედეგების მქონე აბიტურიენტების მიღების ხელშეწყობა



ინდიკატორი 1.1. გრანტოსნების პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი 1.2. 100-იანი გრანტის მფლობელთა პროცენტული რაოდენობა

ამოცანა 2: არსებული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ზრდის ხელშეწყობა



ინდიკატორი 2.1. სემესტრული და წლიური შედეგები- GPA-ის საშუალო მაჩვენებელი



ინდიკატორი 2.2. კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 3: არსებული სტუდენტების კმაყოფილების დონის ზრდის ხელშეწყობა



ინდიკატორი 3.1. სტუდენტების გამოკითხვის შედეგებში ლექტორთა შეფასების მაჩვენებელი



ინდიკატორი 3.2. სტუდენტების გამოკითხვის შედეგებში პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებელი

ამოცანა 4: არსებული მომხმარებლების შენარჩუნების ხელშეწყობა



ინდიკატორი 4.1. გარე მობილობის პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 5: უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა



ინდიკატორი 5.1. გაცვლითი პროგრამის სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი



ინდიკატორი 5.2. ხარისხის მამიებელი სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი



ინდიკატორი 5.3. პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა

ამოცანა 6: სტუდენტების სამეცნიერო და კვლევით კომპონენტებში ჩართულობის ხელშეწყობა



ინდიკატორი 6.1. შიდა კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი



ინდიკატორი 6.2. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი

ამოცანა 7: ინგლისურენოვანი პროგრამების დანერგვა



ინდიკატორი 7.1. ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა

ამოცანა 8: ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავება



ინდიკატორი 8.1. ორმაგი ხარისხის პროგრამების რაოდენობა

ამოცანა 9: სკოლის სტრუქტურის ცვლილება და მიმართულების ხელმძღვანელების სქემაზე გადასვლა



ინდიკატორი 9.1. ახალ ადმინისტრაციულ თანამშრომელთა რაოდენობა

ამოცანა 10: კვლევის განვითარების ხელშეწყობა



ინდიკატორი 10.1. პუბლიკაციების რაოდენობა



ინდიკატორი 10.2. კვლევითი პროექტების რაოდენობა



ინდიკატორი 10.3. კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი



ინდიკატორი 10.4. კვლევითი ცენტრის შექმნის სტატუსი
(შეიქმნა/არ შეიქმნა)

ამოცანა 11: ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა



ინდიკატორი 11.1. ახალი პარტნიორების რაოდენობა



ინდიკატორი 11.2. საერთაშორისო აკრედიტაციის სტატუსი
(აკრედიტაცია მივიღეთ/აკრედიტაცია არ მივიღეთ)

ამოცანა 12: მაღალკვალიფიციურ პროფესორ- მასწავლებელთა რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა



ინდიკატორი 12.1. ახალი აკადემიური პერსონალის რაოდენობა



ინდიკატორი 12.2. ახალი აფილირებული პერსონალის რაოდენობა

ამოცანა 13: წიგნადი და ელექტრონული რესურსების გამრავალფეროვნება



ინდიკატორი 13.1. წიგნადი რესურსის რაოდენობა



ინდიკატორი 13.2. ელ. რესურსების რაოდენობა

დასახული სტრატეგიული ამოცანების მიღწევას კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად უზრუნველყოფს შემდეგი 3-წლიანი სამოქმედო გეგმით.

მომხმარებლებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 1: მაღალი შედეგების მქონე აბიტურიენტების მიღების ხელშეწყობა აქტივობები:

- გამოცხადებული ადგილების ეტაპობრივი შემცირების სქემის შემუშავება
- გამოცდებზე ბარიერის დაწესების სქემის შემუშავება
- „ტოპ 500“ კამპანიის მსგავსი წამახალისებელი კამპანიების შემუშავება, დანერგვა და გამრავალფეროვნება
- თანამშრომლობის მექანიზმის დაგეგმვა საჯარო და კერძო სკოლებთან, რომელთა მოსწავლეებიც გამოირჩევიან მაღალი შედეგებით

ამოცანა 2: არსებული სტუდენტების (საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე) აკადემიური მოსწრების ზრდის ხელშეწყობა აქტივობები:

- მისაღებ გამოცდებზე ბარიერის დაწესების სქემის შემუშავება
- სტუდენტების საკონსულტაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება
- მიმართულების ხელმძღვანელების აყვანა სრულ განაკვეთზე

ამოცანა 3: არსებული სტუდენტების კმაყოფილების დონის ზრდის ხელშეწყობა აქტივობები:

- გამოკითხვის ფორმის შემუშავება
ინდიკატორი 4.1. ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხული უცხოელი (არარეზიდენტი) სტუდენტების რაოდენობა

ამოცანა 5: უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სტუდენტების რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 5.1. მაგისტრატურაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 6. სტუდენტების სამეცნიერო და კვლევით კომპონენტებში ჩართულობის ხელშეწყობა



ინდიკატორი 6.1. შიდა კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი



ინდიკატორი 6.2. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი

ამოცანა 7: ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის უზრუნველყოფა



ინდიკატორი 7.1. პროგრამის აკრედიტაციის სტატუსი

ამოცანა 8: პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა



ინდიკატორი 8.1. გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წასული სტუდენტების წლიური პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი 8.2. გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტების წლიური პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი 8.3. გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წასული ლექტორების წლიური პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი 8.4. გაცვლითი პროგრამით ჩამოსული ლექტორების წლიური პროცენტული რაოდენობა

ამოცანა 9: კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია



ინდიკატორი 9.1. პროგრამის აკრედიტაციის სტატუსი

ამოცანა 10: სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის უზრუნველყოფა



ინდიკატორი 10.1. პროგრამის აკრედიტაციის სტატუსი

ამოცანა 11: ინოვაციური სასწავლო კურსების დანერგვა



ინდიკატორი 11.1. პროგრამებში ახალი სასწავლო კურსების
რაოდენობა

ამოცანა 12: წიგნადი ფონდის განახლების ხელშეწყობა



ინდიკატორი 12.1. შეძენილი წიგნების, სამეცნიერო ჟურნალების, სამეცნიერო კრებულების და გამოცემების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 13: სკოლის აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა



ინდიკატორი 13.1. პროფესიულ ტრენინგებში მონაწილე ლექტორების პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი 13.2. პროფესიულ ტრენინგთა რაოდენობა

ამოცანა 14: ინგლისურენოვანი ლექტორების რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 14.1. ინგლისურენოვანი ლექტორების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი

დასახული სტრატეგიული ამოცანების მიღწევას კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად უზრუნველყოფს შემდეგი 3-წლიანი სამოქმედო გეგმით.

მომხმარებლებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 1: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული

სტუდენტების კმაყოფილების ზრდა

აქტივობები:

- სასწავლო პროცესში სტუდენტების ჩართულობის გაზრდის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა
- სასწავლო წლიდან პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების შემუშავება და დანერგვა
- სასწავლო წლიდან თემატური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება
- სტუდენტური ინიციატივების წახალისების სქემის შემუშავება
- სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვისთვის სამოტივაციო სქემის შემუშავება
- პროფესიული სემინარების ორგანიზება მოწვეული სტუმრების მონაწილეობით

ამოცანა 2: საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების აკადემიური მოსწრების

ზრდის ხელშეწყობა

აქტივობები:

- სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერების გეგმის შემუშავება-დანერგვა
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდის წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა
- დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის დანერგვა

ამოცანა 3: სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების

ზრდა

აქტივობები:

- სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერება
- საკონსულტაციო საათების უზრუნველყოფა
- კვლევის მეთოდების სწავლების გაძლიერება
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის სასწავლო პროცესში ჩაშვება

- სტუდენტების მიერ ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარების მექანიზმის დანერგვა
- სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალის დატრენინგება კვლევის თანამედროვე მეთოდებსა და აკადემიური ნაშრომის ხელმძღვანელობის მიმართულებით

ამოცანა 4: ხარისხის მაძიებელი უცხოელი (არარეზიდენტი) სტუდენტების რაოდენობის ზრდა

აქტივობები:

- ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება
- განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა

ამოცანა 5: უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სტუდენტების რაოდენობის ზრდა

აქტივობები:

- კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, პროგრამის საერთაშორისო კომპონენტის გაძლიერება
- ახალი, ინოვაციური, განათლების ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დანერგვა

ამოცანა 6: სტუდენტების სამეცნიერო და კვლევით კომპონენტებში ჩართულობის ხელშეწყობა

აქტივობები:

- შიდა კონფერენციების დაგეგმვა
- პროფესორების დაინტერესება და ჩართულობის ხელშეწყობა
- საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება

შიდა პროცესებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 7: ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის უზრუნველყოფა

აქტივობები:

- ხელმძღვანელის შერჩევა და მუშაობის დაწყება პროგრამაზე, სილაბუსებზე, თვითშეფასების დოკუმენტზე
- აკრედიტაციის მიღება

ამოცანა 8: პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

აქტივობები:

- პარტნიორი უნივერსიტეტების რაოდენობის გაზრდა ერასმუს + პროგრამის ფარგლებში
- ორმხრივი პარტნიორობის დამყარება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან
- უცხოენოვანი სასწავლო კურსების გაზრდა პროგრამებში

ამოცანა 9: კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია

აქტივობები:

- ხელმძღვანელის შერჩევა და მუშაობის დაწყება პროგრამაზე, სილაბუსებზე, თვითშეფასების დოკუმენტზე
- აკრედიტაციის მიღება

ამოცანა 10: სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის უზრუნველყოფა

აქტივობები:

- ხელმძღვანელის შერჩევა და მუშაობის დაწყება პროგრამაზე, სილაბუსებზე, თვითშეფასების დოკუმენტზე
- აკრედიტაციის მიღება

ამოცანა 11: ინოვაციური სასწავლო კურსების დანერგვა

აქტივობები:

- აღნიშნული ამოცანის დასახვა პროგრამების აკადემიური ხელმძღვანელებისათვის
- შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზება
- საჭიროებების განსაზღვრა პროგრამების მიხედვით
- პარტნიორების მოძიება
- სილაბუსების შემუშავება და ახალი სასწავლო კურსების ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამებში

რესურსებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 12: წიგნადი ფონდის განახლების ხელშეწყობა

აქტივობები:

- ბიბლიოთეკასთან და ფინანსურ დეპარტამენტთან შეთანხმებით კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა

ამოცანა 13: სკოლის აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდის ხელშეწყობა

აქტივობები:

- ტრენინგებში ლექტორების მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმის შემუშავება და დანერგვა
- სასწავლო წლიდან კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში ტრენინგების ჩატარება

ამოცანა 14: ინგლისურენოვანი ლექტორების რაოდენობის ზრდა

აქტივობები:

- აკადემიური კონკურსების გამოცხადება

კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

მისია

კავკასიის ტურიზმის სკოლის მისიაა აღჭურვოს ახალგაზრდა თაობა დროის მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, ასევე ჩამოუყალიბოს და განუვითაროს მათ კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა ცივილიზებულ სამყაროში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობებისა და პრინციპების შესაბამისად.

ღირებულებები

კავკასიის ტურიზმის სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

ინოვაციების მიმართ ღიაობა - ჩვენი სურვილია ფეხი ავუწყოთ გლობალურ და თანამედროვე გამოწვევებს, რათა სწავლის მუდმივად განახლებული მეთოდოლოგია შევთავაზოთ სტუდენტებს, რათა მათ, თავის მხრივ შეძლონ, ერთის მხრივ მაღალპროფესიონალური სტანდარტით უპასუხონ საზოგადოებისა და ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო მეორეს მხრივ, თავად ჰქონდეთ გარემოს ცვლილებებთან მყისიერი ადაპტაციის უნარი.


სოციალიზაცია, ტოლერანტულობა და გონებაგახსნილობა - დარგის სპეციფიკიდან და საზოგადოების ფართო სპექტრთან თანამშრომლობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩვენი სურვილია ჩვენს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ საზოგადოებასთან ეფექტურად ურთიერთობისა და კომუნიკაციის სურვილი, მზაობა და უნარი. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი სტუდენტები და კურსდამთავრებულები იყვნენ გახსნილი და ტოლერანტული განსხვავებული ტრადიციებისა და კულტურების მიმართ. ასევე იყვნენ

შემწყნარებლობის მაღალი ხარისხის მქონე ინდივიდები, რომელთაც შეუძლიათ მოისმინონ და პატივი სცენ განსხვავებულ აზრს.



ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე - ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ სრულფასოვანი ურთიერთობების დამყარება და ცოდნის გაზიარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან. აკადემიური თავისუფლება - აკადემიურ პერსონალს ეძლევა მაღალი ხარისხის თავისუფლება, რათა მან მაქსიმალურად შეძლოს მისი პროფესიული უნარების ათვისება და გამოვლენა ხარისხიანი პროდუქტის შესაქმნელად.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს, ჩვენს კურსდამთავრებულებს მათი საქმიანობით შეეძლოთ წვლილის შეტანა ტურიზმის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ინდუსტრიის განვითარებაში.





ტურიზმის სკოლის სტრატეგიული რუკა





ამოცანა 1: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდის ხელშეწყობა

-  ინდიკატორი 1.1. სტუდენტთა GPA-ის საშუალო მაჩვენებელი
-  ინდიკატორი 1.2. შემცირებული ზღვარი დაწყებით კურსებზე სტუდენტთა GPA-ის მაჩვენებელსა და ზედა კურსებზე GPA-ის მაჩვენებლებს შორის

ამოცანა 2: სტუდენტთა სამეცნიერო ჩართულობის გაზრდა სასკოლო დონეზე

-  ინდიკატორი 2.1. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნის სტატუსი (შეიქმნა/არ შეიქმნა)
-  ინდიკატორი 2.2. სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა
-  ინდიკატორი 2.3. შიდა კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი
-  ინდიკატორი 2.4. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი

ამოცანა 3: უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა

-  ინდიკატორი 3.1. ინგლისურენოვანი ჯგუფების რაოდენობა
-  ინდიკატორი 3.2. უცხოელი სტუდენტების რაოდენობა

ამოცანა 4: ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის შემუშავება



ინდიკატორი 4.1. ორმაგი ხარისხის პროგრამის შექმნის სტატუსი (შეიქმნა/არ შეიქმნა)



ინდიკატორი 4.2. ორმაგი ხარისხის პროგრამის აკრედიტაციის სტატუსი

ამოცანა 5: გაცვლითი პროგრამების რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 5.1. გაცვლითი პროგრამების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი



ინდიკატორი 5.2. გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა



ინდიკატორი 5.3. გაცვლით პროგრამებში მონაწილე ლექტორების რაოდენობა



ინდიკატორი 5.4. გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციულ თანამშრომელთა რაოდენობა

ამოცანა 6: სკოლის პროგრამების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა



ინდიკატორი 6.1. შესაბამისის კომპეტენციის ადმინისტრაციულ პირთა რაოდენობა



ინდიკატორი 6.2. გამოკითხვის შედეგებში ტექნიკური მხარით კმაყოფილების მაჩვენებელი

ამოცანა 7: აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების საქმიანობის ნორმატიული ბაზის გამართვა



ინდიკატორი 7.1. ნორმატიულ ბაზაში შეყვანილი ინფორმაციის პროცენტული მაჩვენებელი



ინდიკატორი 7.2. გამოკითხვის შედეგებში ბაზით კმაყოფილების მაჩვენებელი

ამოცანა 8: კვალიფიციურ კადრთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ჩართულნი იქნებიან სკოლის პროგრამის უზრუნველყოფაში



ინდიკატორი 8.1. პერსონალის რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 9: სასკოლო ადმინისტრაციის აკადემიური რესურსით გამდიერება პროგრამების უკეთესად უზრუნველყოფის მიზნით



ინდიკატორი 9.1. საკონტრაქტო აფილირებულ პირთა რაოდენობა

ამოცანა 10: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ჩართულობის სასკოლო დონეზე



ინდიკატორი 10.1. კვლევითი ცენტრის შექმნის სტატუსი (შეიქმნა/არ შეიქმნა)



ინდიკატორი 10.2. სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი



ინდიკატორი 10.3. კვლევითი პროექტების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი

დასახული სტრატეგიული ამოცანების მიღწევას კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად უზრუნველყოფს შემდეგი 3-წლიანი სამოქმედო გეგმით.

მომხმარებლებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 1: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდის ხელშეწყობა

აქტივობები:

- სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერება
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდის წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა

ამოცანა 2: სტუდენტთა სამეცნიერო ჩართულობის გაზრდა სასკოლო დონეზე

აქტივობები:

- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნა
- შიდა კონფერენციების ორგანიზება
- კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების წახალისების მექანიზმების დანერგვა

ამოცანა 3: გავზარდოთ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა

აქტივობები:

- ინგლისურენოვანი ორმაგი ხარისხის პროგრამის შემუშავება
- საერთაშორისო განათლების გამოფენებში მონაწილეობის მიღება

შიდა პროცესებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 4: ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის შემუშავება

აქტივობები:

- პარტნიორთან მოლაპარაკებები
- პროგრამის სტრუქტურის და მიმართულების განსაზღვრა
- პროგრამის ხელმძღვანელების შერჩევა
- პროფესორების მოძიება
- სილაბუსების შექმნა
- აკრედიტაციის პროცესის მომზადება

ამოცანა 5: გაცვლითი პროგრამების რაოდენობის ზრდა

აქტივობები:

- პარტნიორი უნივერსიტეტების რაოდენობის გაზრდა
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტების/ლექტორების/ადმინისტრაციულ თანამშრომელთა ჩართვის მექანიზმის შემუშავება

ამოცანა 6: სკოლის პროგრამების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა

აქტივობები:

- შესაბამისის კომპეტენციის ადმინისტრაციულ პირთა რაოდენობა
- ტექნიკური მხარის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება დანერგვა

ამოცანა 7: აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების საქმიანობის გამართული ნორმატიული ბაზა

აქტივობები:

- ნორმატიული ბაზის შექმნა
- საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეყვანა

რესურსებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 8: კვალიფიციურ კადრთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ჩართულნი იქნებიან სკოლის პროგრამის უზრუნველყოფაში

აქტივობები:

- კონკურსის გამოცხადება
- ახალი კადრების მიღება

ამოცანა 9: სასკოლო ადმინისტრაციის აკადემიური რესურსით გამდიერება პროგრამების უკეთესად უზრუნველყოფის მიზნით

აქტივობები:

- კონკურსის გამოცხადება
- აფილირებული კადრების მიღება

ამოცანა 10: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ჩართულობის სასკოლო დონეზე

აქტივობები:

- შიდა საუნივერსიტეტო გრანტებში ჩართულობა
- საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერის გეგმის შემუშავება

კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

მისია

კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაა საქართველოში მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემების მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომებისა და ღირებულებების დანერგვა.

ღირებულებები


კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - მხოლოდ ჯანმრთელ და განათლებულ ერს აქვს ეკონომიკური და სულიერი განვითარების საშუალება. ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფიზიკურად, სულიერად და სოციალურად ჯანმრთელი მოქალაქეების არსებობას.

მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ - მედიცინისა და ჯანდაცვის სექტორის სწრაფი განვითარება საჭიროებს მუდმივად ახალი ნოვატორული მიდგომების შექმნასა და იმპლემენტაციას, რასაც ჩვენ შევუწყობთ ხელს საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი ხარისხით.

მსოფლიოში აღიარებული სწავლის სტანდარტები და აკადემიური თავისუფლება - ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალი იქნება ცოდნის შექმნასა და გადაცემაში და ამავე დროს ხელს შევუწყობთ პროფესორ-მასწავლებლებს სწავლის თანამედროვე მეთოდების დაუფლებაში

მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის სტრატეგიული რუკა



ამოცანა 1: სტუდენტების რაოდენობის გაზრდა



ინდიკატორი 1.1. ჯანდაცვის ადმინისტრირების ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობა



ინდიკატორი 1.2. ჯანდაცვის ადმინისტრირების მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა



ინდიკატორი 1.3. საზოგადოებრივი ჯანდაცვა მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა

ამოცანა 2. სტუდენტების გაცვლითი პროგრამებით უზრუნველყოფა



ინდიკატორი 2.1. გაცვლით პროგრამებში მონაწილე ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობა წელიწადში



ინდიკატორი 2.2. გაცვლით პროგრამებში მონაწილე მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა წელიწადში

ამოცანა 3: წარჩინებით კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 3.1. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა GPA-ის საშუალო მაჩვენებელი



ინდიკატორი 3.2. მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა GPA-ის საშუალო მაჩვენებელი

ამოცანა 4: კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 4.1. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი

ამოცანა 5: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა



ინდიკატორი 5.1. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი



ინდიკატორი 5.2. მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 6: სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაზრდა



ინდიკატორი 6.1. სამაგისტრო ნაშრომების პუბლიკაციების და ციტირების რაოდენობა Web of Science და Scopus

ამოცანა 7. სამაგისტრო კურსის დამთავრების პერიოდის შემცირება



ინდიკატორი 7. 1. სამაგისტრო ხარისხის მინიჭების საშუალო პერიოდი

ამოცანა 8: აფილირებული აკადემიური პერსონალი რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 8.1. აფილირებული პროფესორების რაოდენობა



ინდიკატორი 8.2. აფილირებული ასოცირებული პროფესორების რაოდენობა



ინდიკატორი 8.3. აფილირებული ასისტენტ-პროფესორების რაოდენობა



ინდიკატორი 8.4. აფილირებული ასისტენტების რაოდენობა

ამოცანა 9: აკადემიური პერსონალის გადამზადების პროცესის გაძლიერება



ინდიკატორი 9.1. აკადემიური და მოწვეული ლექტორების ტრენინგების, სემინარების, საეთაშორისო კონფერენციების რაოდენობა



ინდიკატორი 9.2. აკადემიური და მოწვეული ლექტორების ტრენინგების, სემინარების, საეთაშორისო კონფერენციებში ჩართულობის მაჩვენებელი

დასახული სტრატეგიული ამოცანების მიღწევას კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად უზრუნველყოფს შემდეგი 3-წლიანი სამოქმედო გეგმით.

მომხმარებლებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 1. სტუდენტების რაოდენობის გაზრდა

აქტივობები:

- მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა
- კურსდამთავრებულების ჩართულობის სქემის შემუშავება

ამოცანა 2. სტუდენტების გაცვლითი პროგრამებით უზრუნველყოფა

აქტივობები:

- გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია
- მიზნობრივი პროგრამების რაოდენობის გაზრდა
- სტუდენტებთან ინფორმირებულობის ღონისძიებების დაგეგმვა

ამოცანა 3. წარჩინებით კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა
აქტივობები:

- შესაბამისი სილაბუსების ხარისხობრივი ცვლილებები
- პედაგოგების აკადემიური დონის გაზრდა

ამოცანა 4. კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა
აქტივობები:

- სასწავლო კურსზე მიღების პირობების კორექტირება

ამოცანა 5. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა
აქტივობები:

- ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან
- პრაქტიკის და სტაჟირების კომპონენტის მოცულობის გაზრდა

შიდა პროცესებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 6. სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაზრდა
აქტივობები:

- სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის შერჩევა
- ნაშრომის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის გაზრდა

ამოცანა 7. სამაგისტრო კურსის დამთავრების პერიოდის შემცირება
აქტივობები:

- სამაგისტრო პროგრამების ოპტიმიზაცია

რესურსებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 8. აფილირებული აკადემიური პერსონალი რაოდენობის ზრდა
აქტივობები:

- ანაზღაურების ადეკვატური სისტემის შემუშავება
- შესაბამისი კონკურსების ჩატარება
- კურსდამთავრებული მაგისტრების ასისტენტის თანამდებობაზე დასაქმების სქემის შემუშავება

ამოცანა 9. აკადემიური პერსონალის გადამზადების პროცესის გაძლიერება
აქტივობები:

- პროფილური ტრენინგების დაგეგმვა-ჩატარება
- უცხოელი სპეციალისტების მოწვევა
- საერთაშორისო კონფერენციების, ტრენინგების დაფინანსება

კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

მისია:

კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის მისიაა ფუნდამენტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე, მსოფლიოს მასშტაბით კონკურენტუნარიანი, პასუხიმგებლობის გრძნობით სავსე ეკონომისტების მომზადება; ქვეყანაში ეკონომიკური ცნობიერების დონის ზრდა.

ღირებულებები:

კავკასიის ეკონომიკის სკოლის აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:


ინოვაცია - ჩვენ გვსურს, მუდმივად ვიყოთ ნოვატორები ცოდნის შექმნასა და გადაცემაში ისე, რომ ვპასუხობდეთ თანამედროვე და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

მრავალფეროვნება - ჩვენ გვსურს, ადგილობრივი თუ რეგიონული საზოგადოების წევრებს შევუქმნათ შესაძლებლობა გაუგონ და პატივი სცენ მათ, ვისი თვალსაზრისი, ღირებულებები, წარმოდგენები, ტრადიციები და მსოფლმხედველობა განსხვავებულია. მხოლოდ განსხვავებული გამოცდილების, ისტორიისა და თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი თანამედროვე სამყაროს შესახებ თვალსაწიერის გაფართოება.

აკადემიური თავისუფლება - ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალი იქნება ცოდნის შექმნასა და გადაცემაში.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ეკონომიკური საკითხების ცოდნა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

ეკონომიკის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა



ამოცანა 1: სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა



ინდიკატორი 1.1. სტუდენტების გამოკითხვის შედეგებში პროგრამით კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 2: ეკონომიკის სკოლაში ჩაბარების მსურველთა ზრდა



ინდიკატორი 2.1. ეკონომიკის სკოლაში ჩაბარების მსურველთა რაოდენობა

ამოცანა 3: უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 3.1. უცხოელი სტუდენტების რაოდენობა

ამოცანა 4: პროგრამების სტუდენტების აკადემიური მოსწრების ზრდა



ინდიკატორი 4.1. პროგრამის კურსდამთავრებულთა GPA-ის საშუალო მაჩვენებელი

ამოცანა 5: სტუდენტების სამეცნიერო და კვლევით კომპონენტებში ჩართულობის ხელშეწყობა



ინდიკატორი 5.1. შიდა კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი



ინდიკატორი 5.2. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი

ამოცანა 6: პროგრამების განახლება-გაუმჯობესება



ინდიკატორი 6.1. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებში პროგრამებით კმაყოფილების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 7: ელექტრონული ბაზებისა და ელ. კომუნიკაციის გაუმჯობესება



ინდიკატორი 7.1. გამოკითხის შედეგებში ელ. ბაზებით კმაყოფილების მაჩვენებელი



ინდიკატორი 7.2. ელექტრონულად საქმის წარმოების ზრდის ტენდენციის სტატუსი(გაიზარდა/არ გაიზარდა)

ამოცანა 8: გაცვლითი პროგრამების რაოდენობის ზრდა



ინდიკატორი 8.1. გაცვლითი პროგრამების რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი



ინდიკატორი 8.2. გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა



ინდიკატორი 8.3. გაცვლით პროგრამებში მონაწილე ლექტორების რაოდენობა



ინდიკატორი 8.4. გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციულ თანამშრომელთა რაოდენობა

ამოცანა 9: ახალი კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვა



ინდიკატორი 9.1. ახალი აკადემიური პერსონალის რაოდენობა

ამოცანა 10: პროფესორ მასწავლებლების განვითარების ხელშეწყობა



ინდიკატორი 10.1. პროფესიულ ტრენინგებში მონაწილე ლექტორების პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი 10.2. პროფესიულ ტრენინგთა რაოდენობა

ამოცანა 11: ადმინისტრაციული პერსონალის განვითარება



ინდიკატორი 11.1. პროფესიულ ტრენინგებში მონაწილე ლექტორების პროცენტული რაოდენობა



ინდიკატორი 11.1. პროფესიულ ტრენინგთა რაოდენობა

ამოცანა 12: კომპიუტერული ბაზის განვითარება



ინდიკატორი 12.1. ეკონომიკის სკოლის კომპიუტერების რაოდენობა



ინდიკატორი 12.2. კომპიუტერული ბაზით კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი

დასახული სტრატეგიული ამოცანების მიღწევას კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად უზრუნველყოფს შემდეგი 3-წლიანი სამოქმედო გეგმით.

მომხმარებლებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 1: სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა

აქტივობები:

- გამოკითხვის მექანიზმის დანერგვა
- შედეგების მიხედვით რეაგირების გეგმის შემუშავება

ამოცანა 2: ეკონომიკის სკოლაში ჩაბარების მსურველთა ზრდა

აქტივობები:

- ცნობადობის გაზრდისთვის მარკეტინგული აქტივობების დანერგვა-განხორციელება
- მონაწილეობა განათლების გამოფენებში
- სკოლებში აბიტურიენტთათვის პრეზენტაციების ჩატარება

ამოცანა 3: უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა

აქტივობები:

- ინგლისურენოვანი პროგრამების შექმნა
- განათლების გამოფენებში მონაწილეობის დაგეგმვა-შესრულება

ამოცანა 4: საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების აკადემიური მოსწრების ზრდა

აქტივობები:

- სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერება
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდის წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა
- დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის დანერგვა

ამოცანა 5: სტუდენტების სამეცნიერო და კვლევით კომპონენტებში ჩართულობის ხელშეწყობა

აქტივობები:

- შიდა კონფერენციების დაგეგმვა
- პროფესორების დაინტერესება და ჩართულობის ხელშეწყობა
- საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების სქემის შემუშავება

შიდა პროცესებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 6: პროგრამის განახლება-გაუმჯობესება

აქტივობები:

- პროგრამების გადახედვა
- აღნიშნული ამოცანის დასახვა პროგრამების აკადემიური ხელმძღვანელებისათვის
- შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზება
- საჭიროებების განსაზღვრა პროგრამების მიხედვით
- პარტნიორების მოძიება
- სილაბუსების შემუშავება და ახალი სასწავლო კურსების ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამებში

ამოცანა 7: ელექტრონული ბაზებისა და ელ. კომუნიკაციის გაუმჯობესება

აქტივობები:

- ელ. ბაზების გაუმჯობესების სქემის შემუშავება-დანერგვა
- ელ. კომუნიკაციის გაუმჯობესების სქემის შემუშავება-დანერგვა

ამოცანა 8: გაცვლითი პროგრამების რაოდენობის ზრდა

აქტივობები:

- პარტნიორი უნივერსიტეტების რაოდენობის გაზრდა
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტების/ლექტორების/ადმინისტრაციულ თანამშრომელთა ჩართვის მექანიზმის შემუშავება

რესურსებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 9: ახალი კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვა

აქტივობები:

- ახალი აკადემიური კადრების მიღების პირობების გადახედვა
- მისაღები პირობების შემუშავება

ამოცანა 10: პროფესორ მასწავლებლების განვითარების ხელშეწყობა

აქტივობები:

- პროფესიული ტრენინგების ორგანიზება
- გაცვლით პროგრამებში პროფესორ-მასწავლებელთა ჩართვის მექანიზმის შემუშავება
- გაცვლით პროგრამებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება

ამოცანა 11: ადმინისტრაციული პერსონალის განვითარება

აქტივობები:

- პროფესიული ტრენინგების ორგანიზება
- გაცვლით პროგრამებში ადმინისტრაციული თანამშრომლების ჩართვის მექანიზმის შემუშავება
- გაცვლით პროგრამებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება

ამოცანა 12. კომპიუტერული ბაზის განვითარება

აქტივობები:

- ფინანსურ დეპარტამენტთან შეთანხმებით კომპიუტერების შეძენა

კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

მისია

კავკასიის სადოქტორო სკოლის მისიაა, შექმნას შემოქმედებითი გარემო მკვლევარებისთვის და სტუდენტებისთვის, სადაც მათ მიეცემათ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციისა და განვითარების საშუალება, რაც განაპირობებს ახალი ცოდნის შექმნას და გადაცემას, რითაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მუდმივ განვითარებას.

ღირებულებები


კავკასიის სადოქტორო სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი პროფესიული საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

მეცნიერული ინტეგრაცია: ჩვენ ვქმნით გარემოს, რომელშიც სწავლებისა და კვლევის კომპონენტები ერთმანეთისგან განუყოფელია. ჩვენ გვსურს, ხელი შევუწყოთ ცოდნის შექმნასა და გადაცემას საერთაშორისო დონეზე.

ინტელექტუალური საზოგადოება: ჩვენ გვსურს, შევქმნათ "დაფარული კურიკულუმი" - საზოგადოების სწორი სიგნალი, რომელიც განსაზღვრავს კრეატიულობის როლს და საჭიროებას.

აკადემიური კეთილსინდისიერება: ჩვენ ვქმნით გარემოს, რომელშიც პრიორიტეტულია მეცნიერთა მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობა საკუთარი შრომისა და დისციპლინის მიმართ.

სადოქტორო სკოლის სტრატეგიული რუკა



ამოცანა 1: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდა



ინდიკატორი 1.1. კვლევითი პროექტების რაოდენობა



ინდიკატორი 1.2. კვლევითი პროდუქტიულობის მაჩვენებელი



ინდიკატორი 1.3. კონფერენციების რაოდენობა



ინდიკატორი 1.4. კმაყოფილების მაჩვენებელი

ამოცანა 2: უცხოელი დოქტორანტების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა



ინდიკატორი 2.1. უცხოელი დოქტორანტების პროცენტული მაჩვენებელი

ამოცანა 3: სტიპენდიების ოდენობის გაზრდა



ინდიკატორი 3.1. დოქტორანტთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ კვლევითი გრანტი



ინდიკატორი 3.2. დოქტორანტთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ სასწავლო გრანტი

ამოცანა 4: სამუშაო სივრცის შექმნა



ინდიკატორი 4.1. სამუშაო სივრცის შექმნის სტატუსი (შეიქმნა/არ შეიქმნა)

ამოცანა 5: კვლევითი ცენტრის შექმნა



ინდიკატორი 5.1. კვლევითი ცენტრის შექმნის სტატუსი (შეიქმნა/არ შეიქმნა)

ამოცანა 6: სამეცნიერო ბირთვის შექმნა



ინდიკატორი 6.1. სამეცნიერო ბირთვის შექმნის სტატუსი (შეიქმნა/არ შეიქმნა)



ინდიკატორი 6.2. სამეცნიერო ბირთვის პროდუქტიულობა



ინდიკატორი 6.3. გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა

ამოცანა 7: საერთაშორისო წარმატებული სამეცნიერო კოლაბორაციის ჩამოყალიბება



ინდიკატორი 7.1. ურთიერთგაცვლის მაჩვენებელი



ინდიკატორი 7.2. სამეცნიერო კოლაბორაციით შექმნილი გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა

ამოცანა 8: თანამშრომლობა სხვა სამსახურებთან



ინდიკატორი 8.1. პირობების გაწერის სტატუსი (გაწერილია სრულად/არ არის სრულად გაწერილი)



ინდიკატორი 8.2. მუშაობის ხარისხი



ინდიკატორი 8.3. კოლეგების კმაყოფილების მაჩვენებელი

ამოცანა 9: სამეცნიერო პერსონალის განვითარება



ინდიკატორი 9.1. პირობების გაწერის სტატუსი (გაწერილია სრულად/არ არის სრულად გაწერილი)



ინდიკატორი 9.2. აკადემიური პროცესების ხარისხი
ინდიკატორი 9.3. პროდუქტიულობის ხარისხი



ინდიკატორი 9.4. თვითკმაყოფილების მაჩვენებელი



ინდიკატორი 9.5. კოლეგების მხრიდან კმაყოფილების მაჩვენებელი

ამოცანა 10: ფაკულტეტის (აკადემიური პერსონალის) ზრდა



ინდიკატორი 10.1. მკვლევართა რაოდენობა მიმართულების მიხედვით

ამოცანა 11: ადმინისტრაციული რესურსის განვითარება



ინდიკატორი 11.1. პროდუქტიულობის მაჩვენებელი

დასახული სტრატეგიული ამოცანების მიღწევას კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად უზრუნველყოფს შემდეგი 3-წლიანი სამოქმედო გეგმით.

მომხმარებლებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 1: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდა

აქტივობები:

- სამოტივაციო სქემის შემუშავება და შესაბამისი მოტივაციის შექმნა

ამოცანა 2: უცხოელი დოქტორანტების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა

აქტივობები:

- საერთაშორისო განათლების გამოფენებში მონაწილეობის მიღება
- პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება

შიდა პროცესებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 3: სტიპენდიების ოდენობის გაზრდა

აქტივობები:

- დოქტორანტების დასაქმებითი კონტრაქტის შემუშავება და მათი ნაწილობრივ/სრულ განაკვეთზე აყვანა
- დოქტორანტების ნაწილობრივ/სრულ განაკვეთზე აყვანა

ამოცანა 4: სამუშაო სივრცის შექმნა

აქტივობები:

- ოთახის გამოყოფა
- შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა

ამოცანა 5: კვლევითი ცენტრის შექმნა

აქტივობები:

- საჭიროა კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის აყვანა, ვინც უხელმძღვანელებს კვლევით ცენტრს
- კვლევითი ცენტრისთვის სამუშაო სივრცის შექმნა

ამოცანა 6: სამეცნიერო ბირთვის შექმნა

აქტივობები:

- სამეცნიერო რესურსის ინტენსიური ზრდა და ბირთვის შექმნა
- შესაბამისი მოტივაციის შექმნა

ამოცანა 7: საერთაშორისო წარმატებული სამეცნიერო კოლაბორაციის ჩამოყალიბება

აქტივობები:

- თანამშრომლობის დაწყება არსებულ პარტნიორებთან
- ახალი პარტნიორების მოძიება

ამოცანა 8: თანამშრომლობა სხვა სამსახურებთან

აქტივობები:

- სამსახურეობრივი ანალიზი და სამუშაოს აღწერილობათა კავშირი ერთმანეთთან, როგორც ერთი ნებისმიერი სამსახურის შიგნით, ასევე სამსახურების ერთმანეთთან

რესურსებთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 9: სამეცნიერო პერსონალის განვითარება

აქტივობები:

- დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა

ამოცანა 10: ფაკულტეტის (აკადემიური პერსონალის) ზრდა

აქტივობები:

- კონკურენტუნარიანი დასაქმების კონტრაქტის შეთავაზება აკადემიური პერსონალისათვის და შესაბამისი აკადემიური პერსონალის მოძიება
- უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა და რაოდენობის ზრდა

ამოცანა 11: ადმინისტრაციული რესურსის განვითარება


აქტივობები:

- ადმინისტრაციული რესურსის ზრდა და სწორი მოტივაცია
- დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს კავკასიის უნივერსიტეტის და მისი სკოლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, შეფასებასა და, საჭიროებისამებრ, მათ კორექტირებას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესი შედგება ოთხი ეტაპისგან (დიაგრამა 2):



დიაგრამა 2: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ეტაპები

ეტაპი 1: ინფორმაციის ორგანიზების ეტაპი

კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახული ინფორმაციის გადატანა ხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისთვის შექმნილ სპეციალურ პროგრამაში - „აქტივობების შესრულებისა და ნიშნულების მიღწევის მონიტორინგის პროგრამა“.

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი პროგრამაში შეიყვანს:

- უნივერსიტეტისა და სკოლების სტრატეგიული ამოცანებს;
- ამოცანების საზომ ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს;
- ამოცანების მიღწევისთვის დაგეგმილ აქტივობებს, მათი შესრულების პროგრესისა და ვადების მითითებით.

პროგრამაზე წვდომა აქვთ სკოლის დეკანებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სტრატეგიული განვითარების გეგმის იმპლემენტაციასა და აღსრულებაში. ისინი პერიოდულად დააფიქსირებენ თითოეულ მიზანთან და სამოქმედო აქტივობასთან დაკავშირებულ პროგრესს, მიმდინარე სტატუსს, არსებულ მდგომარეობასა და სხვა.

ეტაპი 2: შესრულებული სამუშაოს შეფასების ეტაპი

მონიტორინგის ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის განხილვას და შესრულებული სამუშაოს შეფასებას.

დეპარტამენტი სამოქმედო გეგმას აფასებს წელიწადში 2-ჯერ: შემოდგომის სემესტრისა და გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას. მონიტორინგის ამ ეტაპზე

ხდება დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების დადარება, თითოეულ ინიციატივასთან დაკავშირებული პროგრესისა და სტატუსის გადამოწმება.

სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის შეფასება კი იწყება სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოქმედებიდან 2-2.5 წლის შემდეგ. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი თითოეულ მიზანს ამოწმებს თავისი საზომი ინდიკატორებით. ხდება ინდიკატორის სამიზნე ნიშნულისა და ამ დროისთვის მიღწეული ნიშნულის დადარება.

ეტაპი 3: უკუკავშირის და ანგარიშის მომზადების ეტაპი

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი შესრულებული სამუშაოს შეფასების შემდგომ ფუნქციათაშორის სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს შესაბამის რჩევებსა და რეკომენდაციებს და განიხილავს მას შესაბამის სკოლებთან და დეპარტამენტებთან.

ეტაპი 4 - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირების ეტაპი

წინა ეტაპების გავლის შემდეგ სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი გადაწყვეტს საჭიროა თუ არა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა და იმოქმედებს შესაბამისად.

მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება შეიძლება განვითარდეს შემდეგი შესაძლო გზებით.

- თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში ყველაფერი მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად, მაშინ სამოქმედო გეგმის შესრულება გაგრძელდება ისე, როგორც დაგეგმილი იყო.
- თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში აღსრულება არ ხდება გეგმის მიხედვით, მაშინ ხდება მიზეზების დადგენა.

- თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმის გამო, რომ გაწერილი სამოქმედო აქტივობები არ არის საკმარისი, მაშინ ხდება დამატებითი აქტივობების გენერირება, დაგეგმვა და, შესაბამისად, **სამოქმედო გეგმის** ცვლილება. სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიას დეპარტამენტი შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფთან ერთად, წარუდგენს მმართველ საბჭოს და დამტკიცების შემდგომ ქმედებები გაგრძელდება განახლებული გეგმის შესაბამისად.
- თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმიტომ, რომ შეიცვალა გარე და შიდა ფაქტორები ისე, რომ შეუძლებელია ამოცანის დასახულ ნიშნულამდე მიღწევა, ამ შემთხვევაში სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს ცვლილებები შეაქვს **სტრატეგიული განვითარების გეგმაში** (მაგ. შესაძლოა მოხდეს სამიზნე ნიშნულების განხილვა-ცვლილება, სტრატეგიული ამოცანის მოდიფიცირება და სხვა.). განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაფუძნებით დეპარტამენტი ცვლილებებს შეიტანს სამოქმედო გეგმაშიც. შემდგომ დეპარტამენტი ცვლილებების პროექტს წარუდგენს ფუნქციათაშორის სამუშაო ჯგუფს და მომზადდება საბოლოო ვარიანტი, რომელსაც განიხილავენ მმართველი საბჭოს წევრები და საჭიროების შემთხვევაში გეგმას განახლებულ სახით დამტკიცებს პარტნიორთა კრება. ქმედებები გაგრძელდება მოდიფიცირებული გეგმის შესაბამისად.



თბილისი, 2019 წელი